სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	პატარძეულის „ვეფხვები“ - სამცხე ჯავახეთის „ტაო“		
გუნდი	სამცხე ჯავახეთის „ტაო“	შეჯიბრი	I ლიგა
მატჩის თარიღი	03/02/2024	მატჩის ადგილი	თბილისი, ვაზისუბანი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	მწვრთნელი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	გიორგი შკინინი		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მსაჯი, გელა ლემონჯავა	დარღვევა	☐ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - 8.6. საჯაროდ არ გააკრიტიკოს / ხელი არ შეუწყოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო კრიტიკას;		☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	07/02/2024	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე		
დამრღვევის დასწრება	☐ კი ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის, გელა ლემონჯავას საითინგი;		

ფაქტობრივი მოცემულობები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. 03/02/2024 გაიმართა I ლიგის XIII ტურის მატჩი პატარძეულის „ვეფხვები“-სა და სამცხე ჯავახეთის „ტაო“-ს შორის;
2. მატჩის მსაჯის, გელა ლემონჯავას საითინგი;
3. მატჩის მეთვალყურის, გია ჯოხიას გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
4. მატჩის კიდის მსაჯის, საბა შვანგირაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
5. მატჩის კიდის მსაჯის, ანა პოღოსიანის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

გიორგი შკინინი ნაწილობრივ დაეთანხმა მსაჯის საითინგში აღნიშნულ დისციპლინარულ დარღვევას მისი მხრიდან. კერძოდ მისი განცხადებით :

1. გიორგი შკინინი დაეთანხმა მისი მხრიდან თამაშის დასრულების შემდეგ მოედანზე მსაჯთან მისი მისვლის და მსაჯის გადაწყვეტილების გაპროტესტების ფაქტს ხმამაღალი ტონით.
2. გიორგი შკინინი არ დაეთანხმა მსაჯის საითინგში აღნიშნულ რეპლიკას მისი მხრიდან „სირცხვილია ბიჭო, ნამუსი არ გაქვთ თქვენ, რასაც გინდა იმას მსაჯობთ“.

სადისციპლინო კომისიის კითხვაზე „იყო თუ არა იგი გაფრთხილებული მატჩის ოფიციალური პირის მიერ, თამაშის დროს აპელირებისთვის“ გიორგი შკინინმა, უარყო მისი გაფრთხილების ფაქტი და განაცხადა, რომ თამაშის დროს მას მატჩის არცერთი ოფიციალური პირისგან გაფრთხილება არ მიუღია.

გიორგი შკინინის განცხადებით, მისი აღშფოთება გამოიწვია მსაჯის კონკრეტულმა გადაწყვეტილებამ, კერძოდ - თამაშის ბოლოს, შეტევაში მყოფი მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეები შევიდნენ მისი გუნდის ლელოს ზონაში, მაგრამ ბურთის დამიწება ვერ შეძლეს რაც თავდაპირველად დაადასტურა მსაჯმა შესაბამისი ჟესტით - „ბურთის ჩახურვა“, ხოლო შემდეგ მსაჯმა შეცვალა გადაწყვეტილება და ჩათვალა ლელო. გიორგი შკინინმა სხდომაზე წარმოადგინა ამ მომენტის ამსახველი ვიდეომასალა.

ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობა

1. მატჩის მსაჯის, გელა ლემონჯავას საითინგი (ციტირება) – „თამაშის მიმდინარეობის დროს, ტაოს ერთ-ერთი მწვრთნელი, გიორგი შკინინი გამოირჩეოდა საკმაოდ ხმამაღალი და აგრესიული აპელირებებით ჩემი გადაწყვეტილებების მიმართ. ამ დროს ვერაფერი მოვიმოქმედე, რადგანაც იგი მოედნის გარეთ, ტრიბუნაზე იმყოფებოდა, მიუხედავად ამისა მისი ეს აგრესიული ტონი რიგ მომენტებში მესმოდა. თამაშის დასრულების შემდეგ იგი შემოვიდა მოედანზე და აგრძელებდა ჩემს მიმართ ხმამაღალი ტონით საუბარს. მისი ყვირილი ჩემს მიმართ საკმაოდ უხეში და აგრესიული იყო და ამ ყველაფერს უსმენდა სტადიონზე მყოფი მთელი საზოგადოება, კონკრეტულად: „ სირცხვილია ბიჭო, ნამუსი არ გაქვთ თქვენ, რასაც გინდა იმას მსაჯობთ“. ამ შინაარსის მქონე ტექსტები გრძელდებოდა დაახლოებით ორი წუთის განმავლობაში და მისი ქცევა ჩემს მიმართ უფრო და უფრო აგრესიული იყო. მისმა ამ საქციელმა იმოქმედა მოთამაშეებზე და გულშემატკივრებზე, რომლებისგანაც (გარკვეული ნაწილისგან) წამოვიდა აგრესიული დამოკიდებულება. სიტუაცია საშიში ხდებოდა, რომ არ განემუხტა ეს ყველაფერი ტაოს ერთ-ერთ მწვრთნელს სანდრო ესაკიას, რომელმაც მოთამაშეებს და გულშემატკივრებს დაწყნარებისკენ მიუწოდა და მე გამომიყვანა მოედნიდან უსაფრთხოდ. გიორგი შკინინის ამ ქმედებამ, როგორც გითხარით არაერთ გუშემატკივარზე და მოთამაშეზე იმოქმედა. ერთ-ერთი ტაოს გულშემატკივარი რომლის ვინაობაც არ ვიცი, მოდიოდა ჩემკენ და მეუბნებოდა „ შენ ხარ ბიჭო უნამუსო მსაჯი და მოსყიდული“ . ამ ყოველივეს თმენის ვალდებულებიდან გამომდინარე ყურადღებას არ ვაქცევდი, და როდესაც მოედანს ვტოვებდი, ჩემი მიმართულებით მესმოდა სიტყვიერი შეურაწყოფები.“
2. მატჩის მეთვალყურის, გია ჯოხიას გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - გია ჯოხიას განცხადებით, თამაშის მსვლელობისას მან შენიშვნა მისცა გიორგი შკინინს, მსაჯის გადაწყვეტილებებზე აპელირების გამო. ხოლო თამაშის დასრულების შედეგ მომხდარ ინციდენტს ის არ შესწრებია და ამის შესახებ მან მსაჯისგან შეიტყო გამოსაცვლელ ოთახში.
3. მატჩის კიდის მსაჯის, საბა შვანგირაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - საბა შვანგირაძის განცხადებით, თამაშის მსვლელობისას მატჩის მეთვალყურემ გააფრთხილა გიორგი შკინინი, მსაჯის გადაწყვეტილებებზე აპელირების გამო. თამაშის დასრულების შემდეგ მან შენიშნა გიორგი შკინინისა და მატჩის მსაჯს შორის შელაპარაკება, რა დროსაც გიორგი შკინინი საკმაოდ აგრესიული და ხმამაღალი ტონით აპროტესტებდა მსაჯის გადაწყვეტილებას რეპლიკებით „სირცხვილია“, „როდემდე უნდა გაგრძელდეს ესე“. საბოლოოდ სიტუაცია განმუხტა „ტაო“-ს წარმომადგენელმა, რომელმაც გამოიყვანა გიორგი შკინინი. საბა შვანგირაძის განცხადებით თამაშის დასრულების შემდეგ მან შენიშნა მოედანზე შემოსული სავარაუდოდ „ტაო“-ს

გულშემატკივარი, რომელიც ხმამაღლა აპროტესტებდა მსაჯის გადაწყვეტილებას რეპლიკებით „უნამუსო“ და „მოსყიდული“.

4. მატჩის კიდის მსაჯის, ანა პოღოსიანის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - ანა პოღოსიანის განცხადებით, თამაშის დასრულების შემდეგ მსაჯთან მივიდა „ტაო“-ს მწვრთნელი გიორგი შკინინი და ხმამაღალი და აგრესიული ტონით ესაუბრებოდა მას. ანა პოღოსიანმა ვერ გაიგონა კონკრეტული სიტყვები, დისტანციის გამო. თუმცა განმეორდა, რომ გიორგი შიკინინი საკმაოდ აგრესიული ტონით საუბრობდა. ანა პოღოსიანმა აგრეთვე შენიშნა მოედანზე შემოსული სავარაუდოდ „ტაო“-ს გულშემატკივარი მამაკაცი, რომელის მსაჯს „მოსყიდულს“ უწოდებდა.

სადისციპლინო კომისიის წევრებმა, მხარეების მოსმენის და სხდომაზე წარმოდგენილ ფაქტობრივ მოცემულობებზე მსჯელობის დროს გამოთქვეს საკუთარი დამოკიდებულება მომხდარი ინციდენტის შესახებ და შეჯერდნენ ინციდენტთან დაკავშირებულ საერთო გარემოებებზე.

სადისციპლინო კომისიამ დაადგინა

სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობის შემდეგ დაადგინა :

1. „ტაო“-ს მწვრთნელის, გიორგი შკინინის მხრიდან ადგილი ჰქონდა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.6 (საჯაროდ არ გააკრიტიკოს / ხელი არ შეუწყოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო კრიტიკას) პუნქტის დარღვევას.
2. გიორგი შკინინი გაფრთხილებული იქნა მატჩის მეთვალყურის მიერ, თამაშის მსვლელობისას მსაჯის გადაწყვეტილებზე აპელირების გამო.

დადგენილი ფაქტობრივი მოცემულობების მიხედვით, სადისციპლინო კომისიამ მიიღო შემდეგი

გადაწყვეტილება

1. სამცხე ჯავახეთის „ტაო“-ს მწვრთნელს, გიორგი შკინინს მიეცეს დისკვალიფიკაცია 2(ორი) სათამაშო კვირით. რაც გულისხმობს რომ, გიორგი შკინინს ეკრძალება I ლიგის შეჯიბრებაში „ტაო“-ს თამაშის დროს, **სათამაშო სივრცეში*** ყოფნა.
2. დისკვალიფიკაციის პერიოდი განისაზღვროს 08/02/2024-დან 19/02/2024-მდე.
3. კლუბ სამცხე ჯავახეთის „ტაო“-ს დაეკისროს ფულადი ჯარიმა 200(ორასი) ლარის ოდენობით. ფულადი ჯარიმის გადახდის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 9 მარტამდე.

შენიშვნა: სრკ-ს სადისციპლინო რეგგულაციის 13.8 პუნქტის მიხედვით - სადისციპლინო კომისიის მიერ დაკისრებული ფულადი ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ვალდებულ მხარეს ეძლევა გაფრთხილება და მიეცემა დამატებითი 10 (ათი) კალენდარული დღე ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ჯარიმის გადაუხდელობის ყოველ კვირაზე გუნდს დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა. ჯარიმის გადახდის ვალდებულება ყველა შემთხვევაში რჩება ძალაში.

* სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია: ტერმინთა განმარტება - 2.12. **სათამაშო სივრცე** - არენა/სტადიონი, მის ტერიტორიაზე არსებული შენობა ნაგებობები და სათამაშო მოედნები, სადაც იმართება სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის შეჯიბრება.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	08/12/2024

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]